სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

საბაკალავრო პროგრამის კატალოგი

2026 - 2030 სასწავლო წელი

აკადემიის შესახებ

სამხედრო სასწავლებლების ისტორია საქართველოში 1918 წელს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან იწყება. მას შემდეგ რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, დღის წესრიგში დადგა ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადების საკითხი. საქართველოს ეროვნული საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 20 აგვისტოს გამართულ სხდომაზე დამტკიცდა ,,კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციისა", რომლის თანახმად იუნკერთა მოსამზადებლად უნდა დაარსებულიყო სამხედრო სკოლა. სწორედ ეს თარიღი განისაზღვრა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დღედ.

რესპუბლიკის მთავრობამ ახალი სამხედრო სასწავლებლის ჩამოყალიბება დაავალა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, რომლის ძალისხმევით ქართულმა სამხედრო სკოლამ იუნკერთა პირველი ნაკადი 1919 წლის სექტემბერში მიიღო. აღნიშნულმა სასწავლებელმა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე (1921 წ.) იარსება. კომუნისტური მმართველობის დროს, სამხედრო სკოლა ჯერ წითელარმიელ კურსანტთა სამხედრო სასწავლებლად, შემდეგ კი თბილისის საარტილერიო სასწავლებლად გადაკეთდა და 1991 წლამდე იარსება.

1993 წლის 28 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული სამხედრო აკადემია, რომელმაც მსმენელთა პირველი ნაკადი 1993 წლის სექტემბერში მიიღო. მოგვიანებით სასწავლებელს ჯერ თავდაცვის ეროვნული აკადემია, ხოლო შემდგომ, ეროვნული თავდაცვის აკადემია ეწოდა. 2003 წლის 20 თებერვალს უმაღლეს სასწავლებელს დავით აღმაშენებლის სახელი მიენიჭა. 2009 წლიდან ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისლოკაციის ადგილად გორი განისაზღვრა.

2010 წელს აკადემიაში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც ოფიცერთა განათლების მთელი სისტემა მოიცვა. ამავე წელს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემიამ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მოიპოვა. ეროვნული თავდაცვის აკადემიას მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

2014 წლის 28 მაისს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, აკადემიის მსმენელებს, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებ-ლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ისტორიული სახელი „იუნკერი" დაუბრუნდათ.

აკადემიის შესახებ

აკადემიაში შექმნილია მსოფლიო სტანდარტების ადეკვატური განათლებას მიღების, იუნეკრების/მსმენელების ნაყოფიერი და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებისათვის შესაბამისი გარემო. აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს: იუნკერთა სასწავლო ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და დისტანციური სწავლების ცენტრი. აკადემიას აქვს ბაზა, რომელიც უზრუნველყოფილია თანამედროვე სტანადარტების შესაბამისი, როგორც სასწავლო-სამეცნიერო და ტექნიკური, ასევე სამხედრო სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. აკადემიაში ხორციელდება სამხედრო, აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო და სხვადასხვა პროფესიული პროგრამები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამხედრო და ფიზიკური მომზადების ინსტრუქ-ტორები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი. აკადემიაში ხორციელდება ენების ინტენსიური სწავლება (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული და ქართული ენა (ეთნიკური უმცირესობებისთვის)).

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის იუნკერები/ მსმენელები / აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ მოკლევადიან და გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და იღებენ ცოდნასა და გამოცდილებას სხვადასხვა მიმართულებით.

აკადემიაში სწავლა უფასოა, ყველა ხარჯს უზურნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. კურსდამთავრებულების 100% იან დასაქმებას უზრუ-ნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, აკადემიის იუნ-კერებს აქვთ ყოველთვიური სტიპენდია აკადემიური მოსწრებისა და სამხედრო საქმეში წარმატების შესაბამისად.

მეთაურის მისალმება

აკადემიის მეთაური
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

მოგესალმებით,

ჩემთვის დიდი პატივია წარმოგიდგინოთ სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, რომელიც ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ასევე ფუნქციონირებს უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხურები - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. აკადემია ავტორიზებულია და პროგრამები აკრედიტებულია სსიპ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აკადემიაში სწავლით თქვენ გეძლევათ უნიკალური შანსი გახდეთ სამხედრო-საგანმანათლებლო სივრცის განუყოფელი ნაწილი და ამავდროულად მიიღოთ უმაღლესი სამოქალაქო განათლება.

აკადემიაში თქვენ დაგხვდებათ ისეთი გარემო, სადაც შეძლებთ განავითაროთ როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი პოტენციალი, ამასთანავე კარგად გაიცნოთ ერთმანეთი და გამორჩეულ გუნდთან ერთად დადგეთ ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე. აკადემიაში მოსვლის პირველივე დღიდან თითოეულ თქვენგანს აუცილებლად ექნება განცდა იმისა, რომ აკადემია არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა აღიზარდოს სამშობლოს დამცველი, სადაც ფასდება თითოეული ახალგაზრდის ნიჭი, შემართება და მოტივაცია, სადაც შეძლებთ საკუთარი თავის სრულად რეალიზებას იმ მიზნებისათვის, რისთვისაც მოხვედით ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში. იცოდეთ, რომ პირადად მე და აკადემიის სრული პირადი შემადგენლობა, ყოველთვის მხარს დაგიჭერთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და სწორად გამოყენებაში.

ჩვენი საქმიანობა დაფუძნებულია იუნკერებზე და მსმენელებზე ორიენტირებულ გარემოს შექმნაზე, სადაც მოღვაწეობენ უდიდესი გამოცდილების და საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები და პროფესორ-მასწავლებლები. სწორედ, იუნკერებისათვის და მსმენელებისათვის სამხედრო სამსახურის სპეციფიკის გაცნობა, მისი ძირითადი საფუძვლების სწავლება, სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და აკადემიური განათლების მიცემაა ჩვენი ყოველდღიური მუშაობის მიზანი.

პირადად ჩემთვის უდიდეს პატივს წარმოადგენს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეთაურის თანამდებობაზე სამსახური. ჩვენ აკადემიის სამეთაურო რგოლი, აკადემიის თითოეულ თანამშრომელთან ერთად, თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებულად ვაყალიბებთ იუნკერთა და მსმენელთა აღრზდის, აკადემიური მოსწრებისა და ლიდერობის განვითარების კულტურას, რაც წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს.

აკადემიის სტუდენტები ატარებენ "იუნკერის" სახელს და ეს არ არის შემთხვევითი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულება საკუთარი ქვეყნისა და იმ ახალგაზრდა ვაჟკაცების წინაშე, რომლებმაც 1921 წლის თებერვალში საკუთარი მკერდით, გმირულად დაიცვეს სამშობლო კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან.

ჩვენი წმინდა ვალდებულება, ვიყოთ ერთგულნი სამშობლოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირული მამულიშვილების ნათელი ხსოვნისა.

ძვირფასო მეგობრებო, ჩემი მისალმება მინდა დავამთავრო პირველი ქართული სამხედრო სკოლის უფროსის, საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორ გიორგი კვინიტაძის იუნკერებისადმი მოწოდებით: "დაე მუდამ თქვენთან იყოს გამარჯვება".

გისურვებთ წარმატებებს, გვფარავდეს ღმერთი!

პატივისცემით,
ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

აკადემიის ხელმძღვანელი პირები

აკადემიის მეთაურის პირველი მოადგილე
პოლკოვნიკი
იმედა გვრიტიშვილი

აკადემიის მეთაურის მოადგილე
პოლკოვნიკი
ზურაბ ზერეკიძე

აკადემიის მეთაურის მოადგილე შტაბის უფროსი
ვიცე-პოლკოვნიკი
ლაშა კლიმიაშვილი

აკადემიის სერჟანტი
მთავარი სერჟანტი
უჩა დავითური

ბაკალავრიატის ხელმძღვანელის მ.შ.
ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
თავდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
მენეჯმენტის ბაკალავრი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა:
240 ECTS კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა:

ეროვნული თავდაცვის აკადემიის **თავდაცვის მენეჯმენტის** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება 240 კრედიტის დაგროვების შედეგად, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები 122 კრედიტი:

114 კრედიტი - ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის, 8 კრედიტი - სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში);

8 კრედიტი - ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები. (4-4 კრედიტიანი; იუნკერმა უნდა აირჩიოს ორი სასწავლო კურსი)

თავისუფალი კომპონენტი 118 კრედიტი:

114 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის, 75 კრედიტი - საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსები);

4 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზი და პროგრამის აქტუალობა

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი დამკვეთი და კურსდამთავრებულთა დამსაქმებელი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, პროგრამაში გათვალისწინებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები, რაც წარმოადგენს წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზების მიზეზს.

საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების მცოდნე და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცრების მომზადების აუცილებლობას, რომელთაც ექნებათ მენეჯმენტის სხვადასხვა ქვედარგის ძირითადი თეორიების და პრინციპების ფართო ცოდნა, შეძლებენ მმართველობითი საქმიანობისას წარმოქმნილი კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და პრაქტიკულ გადაწყვეტას.

თანამედროვე სწრაფად ცვალებად გარემოში ორგანიზაციის ადაპტირებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მენეჯერების მხრიდან ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელების აუცილებლობა, რაც გულისხმობს მართვის ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების მთლიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეიძინონ ცოდნა, მენეჯმენტისა და ეკონომიკის ფუნქციონალურ მიმართულებებში, მოამზადოს მომავალზე ორიენტირებული ორგანიზაციების მენეჯერები, რომელთაც ექნებათ ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რაც მათ საშუალებას მისცემს, ეთიკური პრინციპების დაცვით, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობის საფუძველზე, წარმატებით იმოქმედონ კონკურენტულ გარემოში - შექმნან, მართონ და/ან წვლილი შეიტანონ პიროვნულ და ორგანიზაციების განვითარებაში.

პროგრამის მიზანია, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის მოამზადოს უმაღლესი აკადემიური განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე და შეეძლება დასაქმება როგორც საქართველოს თავდაცვის ძალებში, ისე სამოქალაქო სექტორში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აბიტურიენტებს, რომლებიც დარეგისტრირდნენ მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რეგისტრაციისას აირჩიეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები და რომლებსაც მიმდინარე წელს არ უსრულდებათ 24 და მეტი წელი;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენის და მათემატიკის / ან ისტორიის ჩაბარების შედეგები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის შიდა წესის შესაბამისად შესარჩევი ტურის გავლა (სამედიცინო შემოწმება, ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება). აბიტურიენტს ეთა-ს იუნკერის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე აბიტურიენტები გადიან საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს (BCT)

იუნკერის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

- ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა იუნკერი.
- ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის მიზნით აკადემიაში პირველ და მე-2 კურსის დაწყებამდე ტარდება (placement test) დიაგნოსტიკური ტესტი.
- ენობრივი კომპეტენციის დონე განისაზღვრება საგამოცდო საკითხების ფორმატის, მაში მოცემული შეფასების კრიტერიუმებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის საფუძველზე.
- საგამოცდო მასალის (ტესტის) შერჩევას/მომზადებას უზრუნველყოფს ბაკალავრიატის ენობრივი მომზადების განყოფილება.
- გამოცდების ორგანიზებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ბაკალავრიატი და აკადემიის შტაბის G3/G2-ის სასწავლო განყოფილება.
- იუნკრები აკადემიაში არსებული თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო უცხო ენების სასწავლო კურსებიდან (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული) აირჩევენ ერთ-ერთს.
- იუნკერთა ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად განისაზღვრება ენათა ერთიანი ევროპული ჩარჩოს მიხედვით - 6 დონე: A1, A2, B1, B1+, B2, და B2+ (B2+ მხოლოდ ინგლისურ ენაში)

• იუნკერები ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგად გადანაწილდებიან შესაბამისი დონის ჯგუფებში: A1, A2, B1, B1+, B2, და B2+ (B2+ მხოლოდ ინგლისურ ენაში)

• თუ იუნკერს, პირველი სემესტრიდან მეოთხე სემესტრის ჩათვლით, დაუდასტურდება ერთ-ერთი უცხო ენის (გერმანული, ინგლისური, თურქული, ფრანგული) ენობრივი კომპეტენციის ცოდნის B2 დონე, მიეცემა შესაძლებლობა აირჩიოს სხვა სასურველი უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, თურქული, ფრანგული), გარდა მის მიერ უკვე დადასტურებული უცხო ენის ენობრივი კომპეტენციის ცოდნის დონისა.

• კონკრეტული სამიზნე აუდიტორიიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში (ენობრივი კომპეტენციის დონე) მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

სწავლის შედეგები პროგრამის დასრულების შემდეგ

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

· **აღწერს** მენეჯმენტის სფეროს საბაზისო ცნებებს, პრინციპებს, თეორიებს, პროცესებს, არსებულ უნივერსალურ პრობლემებს/საკითხებს და აცნობიერებს მასთან დაკავშირებულ თანამედროვე მმართველობით მიდგომებს;

· **განსაზღვრავს** ორგანიზაციების ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს ანალიზის მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და ორგანიზაციის ფუნქციონირების მექანიზმებს;

· **კომპეტენციის** ფარგლებში, ასრულებს ძირითად მენეჯერულ ფუნქციებს და გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობს ეთიკური პრინციპებით;

· **ახდენს** ორგანიზაციის წინაშე მდგარი მმართველობითი პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;

· **მუშაობს** გუნდურად და **ამყარებს** ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას, ქართულ და უცხო ენებზე სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამედროვე მეთოდების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

· საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში **მონაწილეობს** კონკრეტული პროექტების, ოპერაციებისა და სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში;

· გამოიმუშავებს კვლევისათვის აუცილებელ საბაზისო უნარ-ჩვევებს და **ასრულებს** შესაბამის დავალებას;

· **განსაზღვრავს** ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას;

· **ხსნის** ოცეულის დონის ქვედანაყოფის მართვის პრინციპებს, ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების საფუძვლებს;

· **გეგმავს და ასრულებს** ოცეულის დონის ქვედანაყოფის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის სახმელეთო ოპერაციები.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია აპრობირებული მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ესენია: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ლაბორა-ტორიული მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრო-მლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,და სხვა.

თავდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად. იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას, გამოცდების მომზადება, ჩაბარებას, დამოუკიდებელ მუშაობას, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას, საბა-კალავრო ნაშრომის დაცვას, სხვა სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იუნკერის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება თავდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომ-პონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება იუნკერს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. თავდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას იუნკერის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება იუნკერს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომ-პონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. იუნკერს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

საერთო საჯარისო მართვის სასწავლო კურსების სილაბუსებში ზოგიერთი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი უფრო მაღალია, მაგრამ არაუმეტეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნისა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის ხვედრითი წილი შეადგენს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50 %-ს ანუ 20 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 ქულა;

4. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსში - FX-შეფასების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებსა და უზრუნველყოფის სამსახურებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, თავდაცვის, უსაფრთხოების და სამხედრო პროფილის სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

კუსრდამთავრებულის დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორში. კერძოდ, სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ბიზნეს სფეროში (ფუნქციონალურ, საშუალო და ქვედა დონის მენეჯერებად) და სახელმწიფო სექტორის საშუალო რანგის ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება

სწავლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, სამხედრო პროფესიული განვითარების კურსებზე, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ.